გარდამავალი წითელი დროშა — საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 107 (3846)

1969 წ. 4 ივნისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ჯილდოები საუკეთესოებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 1968 წელს მოპოვებული წარმატებებისთვის გარდამავალი წითელი დროშებითა და კომიტეტის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა რსფსრ-ს, უკრაინის, ესტონეთის, საქართველოსა და ყაზახეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისთვის პირველი ადგილი (გარდამავალი თასებისა და საპატიო სიგელების გადაცემით) მიეკუთვნათ უკრაინის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მეორე ადგილზე არიან საქართველოს, მესამეზე — ბელორუსიის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მასობრივი სპორტული მუშაობა 1968 წელს ყველაზე მაღალ დონეზე იდგა ლენინგრადში. მეორე ადგილზეა მოსკოვი, მესამეზე — ესტონეთის სსრ.

მოსკოვის ფიზკულტურული ორგანიზაციები დაჯილდოვდნენ ყველაზე ნაყოფიერი მუშაობისთვის სპორტული ოსტატობის ზრდის მიზნით. მეორე ადგილზე არიან რსფსრ-ს, მესამეზე — უკრაინის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

„გაზაფხულის თასზე“

სტუდქალაქის სტადიონზე და „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე მიმდინარეობს „გაზაფხულის თასის“ გათამაშება რეგბიში. ტურნირში მონაწილეობენ თბილისის გუნდები.

კარგად ასპარეზობს პრიზის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი. მომავალმა ინჟინრებმა დაამარცხეს უნივერსიტეტის გუნდი (11:6), თბილისის ახალგაზრდული ნაკრები (12:3) და „სპარტაკის“ ჭაბუკები (49:0).

თასის მოპოვების რეალური შანსი აქვს „ლოკომოტივსაც“, რომელიც თითქმის ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის. მან სძლია ჯერ „სპარტაკის“ ჭაბუკთა გუნდს (20:3), შემდეგ კი „სპარტაკის“ მოზრდილთა კოლექტივს — 6:3.

უნივერსიტეტელებმა აჯობეს „სპარტაკს“ — 6:0. „სპარტაკი“ პირველად გამოვიდა რეგბის ასპარეზზე და მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ხშირად შეცდომებიც მოსდის. შეუთანხმებელია „შერკინება“ და სამიმეოთხედები. სანაცვლოდ. ძალზე ტექნიკურად და თავგანწირვით თამაშობს ჩამკეტი თ. ანდღულაძე. გუნდმა მოიგო ორი შეხვედრა ქალაქის ახალგაზრდულ ნაკრებთან 22:0 და თანაკლუბელ ჭაბუკებთან — 36:13.

დ. თაქთაქიშვილი.

სურათზე: უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

უკანასკნელ საათს!

- მერვედფინალს ვერ გასცდნენ
- საბჭოთა ნაკრები — I ადგილზე
- დაიღუპა რ. კორაჩი
- ყველას აჯობეს...

◆ **პარიზი, 3 ივნისი.** საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე 16 საუკეთესო წყვილში შევიდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები ტ. კივი და თ. ლეიუსი, მაგრამ მერვედფინალში ტალინელებმა მარცხის სიმწარე იწვნიეს ფრანგებთან ფ. დიურთან და ჟ.-კ. ბარკლაისთან — 3:6, 0:6.

◆ **აველინო (იტალია), 3 ივნისი.** კალათბურთელ ქალთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. გადამწყვეტ მატჩში მან დიდი ანგარიშით — 91:35 (39:22) დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები, რომელიც II ადგილით დაკმაყოფილდა. III ადგილზეა კრაკოვის „ვისლა“.

◆ **სარაევო, 3 ივნისი.** ადგილობრივ საავადმყოფოში სული დალია ცნობილმა იუგოსლაველმა კალათბურთელმა რადივოე კორაჩმა, რომელიც საავტომობილო კატასტროფის მსხვერპლი გახდა. ამ 31 წლის სპორტსმენის სახელთან დაკავშირებულია იუგოსლავიის ნაკრები გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებები — მეხიკოს ოლიმპიადასა და მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატში მოპოვებული ვერცხლის მედლები.

◆ **ტურინი, 3 ივნისი.** სტუდენტ მძლეოსანთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა ნ. დუდკინმა ყველას აჯობა სამხტომში (16,40 მ), ხოლო კიეველმა ვალენტინა კოზირმა — სიმაღლეზე ხტომაში — 173 სმ.

მეთვრამეტე პარტია

ტ. პეტროსიანი — ბ. სპასკი

ტარაშის დაცვა

1. c4 e6 2. d4 d5 3. მc3 c5 4. cd ed 5. მf3 მc6 6. g3 მf6 7. კg2 კe7 8. 0—0 0—0 9. კg5 cd 10. მ:d4 h6 11. კe3 ეe8 12. ეc1 კf8 13. მb3 კe6 14. მb5 კg4 15. h3 კf5 16. მ5d4 მ:d4 17. მ:d4 კd7 18. ლb3 ლa5 19. a3 კd6 20. ლd3 ლd8 21. ეfd1 ლe7 22. კd2 მe4 23. კe1 კe5 24. ლb3 კ:d4 25. ე:d4 კc6 26. h4 ლe5 27. ლe3 ლf6 28. კ:e4 ე:e4 29. ე:e4 de 30. კc3 ლf5 31. ეd1 ეe8 32. ეd6 f6 33. ეd4 a6 34. მფh2 ლg4 35. a4 მფf7 36. მფg1 ეe5 37. ეd6 ეf5 38. b3 ლh3 39. კe1 ლg4 40. კc3 ლh3.

პარტია გადაიდო ამ პოზიციაში:



სპეციალისტების აზრით, სპასკის პოზიციური უპირატესობა აქვს. იგი თეთრ მეფეს დალაშქვრით ემუქრება, როგორც 41. ... ეf3-ით ისე 41. ... g5-ით. პეტროსიანმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

* * *

— სპასკი იმავე გზას გაჰყვა, რომელსაც მეათე პარტიაში. ნეტავ, რა სიახლე მოამზადა? — კითხულობდნენ პრეს-ცენტრში. საქმე ისაა, რომ მეათე პარტიაში პეტროსიანმა ლაზიერის მანევრით უკეთესი პოზიცია მიიღო. ამ მანევრმა სპასკის ხელი აალებინა ტარაშის დაცვის მომზადებულ ვარიანტზე.

მეტოქეები სწრაფად თამაშობდნენ. აი, სიახლეც: 11. ... ეe8.

პეტროსიანი გამოჩენილი გერმანელი დიდოსტატის ზ. ტარაშის დროინდელ გზას დაადგა. ბრძოლა დაიწყო d4 უჯრის დაპყრობისთვის. რა თქმა უნდა, სპასკი მოელოდა ასეთ თამაშს. მიუხედავად იმისა, კრიტიკულ პოზიციაში (მე-16 სვლა) მან 17 წუთს იფიქრა: გაეცვალა თუ არა მხედარი?

პეტროსიანი ფხიზლობდა. მან გვერდი აუარა მახეს: 18. ლ:b7? ეab8! და მე-20 სვლაზე დიდი ხნით ჩაფიქრდა. საჭირო იყო შემდგომი თამაშის გეზის დამუშავება.

პრეს-ცენტრში მყოფი მოჭადრაკეები შეთანხმდნენ: პოზიცია თანაბარია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი უფრო საიმედოდ დგასო.

— სპასკიმ ლაზიერით უკან დაიხია, — თითქოს ერთხმად თქვა ყველამ, როცა პრეტენდენტმა მე-20 სვლა გააკეთა. მხოლოდ მაშინ, როცა მან ლაზიერი e7-ზე დააყენა, ყველა მიხვდა, რომ სპასკიმ ხელთ იგდო ინიციატივა. 21-ე სვლის შემდეგ იგი პაიკის მოგებით (22. ... კ:g3!) დაემუქრა მეტოქეს.

მეტოქენი სულ უფრო დიდხანს ფიქრობდნენ თითოეულ სვლაზე. სპასკი ენერგიულად მოქმედებდა. პეტროსიანი, როგორც ყოველთვის, აუღელვებლად აქარწყლებდა მუქარას. მისი პოზიცია დაცვითი ხასიათისა იყო.

ცაიტნოტში სპასკიმ a7 პაიკი შესთავაზა მეტოქეს. პეტროსიანმა არ აიყვანა იგი, ვინაიდან (32. ლ:a7 e3!) შავები თავის კუს დიაგონალს გაუხსნიდნენ საიერიშოდ. როგორც ჩანს, პრეტენდენტი იერიშზე ფიქრობდა. მან მეფის ფრთაზე კიდეც გადაიყვანა ლაზიერი და ეტლი. პეტროსიანის მეფეს საფრთხე ემუქრებოდა. ამასობაში სათამაშო დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო.

— კარგად, დამაჯერებლად ითამაშა სპასკიმ, — ლაპარაკობდნენ პრეს-ცენტრში.

საგანგებო ბიულეტენში, რომელიც აქ გამოდის, წავიკითხეთ: „ანალიზი აჩვენებს, რამდენად რეალურია სპასკის შანსი იერიშის წარმატებით დაგვირგვინებისა“.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

„ლელოს“ პასუხი...

● **თბილისელები ნ. დათიკაშვილი, ი. ახალაძე და თ. მებონია გვეკითხებიან: როგორია პეტროსიან — სპასკის მატჩის პირობები?**

— მატჩში 24 პარტია უნდა გათამაშდეს. როგორც კი ერთ-ერთი მეტოქე 12,5 ან 13 ქულას მოაგროვებს, იგი გამარჯვებულად გამოცხადდება და ორთაბრძოლაც შეწყდება. მაგრამ პეტროსიანი მსოფლიო ჩემპიონად რჩება მაშინაც კი, თუ 12 ქულას მოაგროვებს.

● **სამტრედიელი მ. მათიაშვილი გვეკითხება: რამდენჯერ შეუძლიათ პეტროსიანსა და სპასკის არ გამოცხადდნენ თამაშზე, რამდენი პარტიის გაცდენის უფლება აქვთ?**

— მსოფლიო პირველობის დებულებით, პეტროსიანსა და სპასკის საპატიო მიზეზით მხოლოდ სამ-სამი პარტიის გაცდენის უფლება აქვთ. ამ უფლებას მათ მატჩის ექიმი აძლევთ. პეტროსიანმა და სპასკიმ უკვე ორ-ორჯერ გამოიყენეს „დასვენების უფლება“, მაშასადამე, კიდევ თითო პარტიის გაცდენა შეუძლიათ. მერე კი ყოველი გაცდენისთვის, თუნდაც იგი ავადმყოფობის მიზეზით იყოს გამოწვეული, გაცდენილ პარტია წაგებულად ჩაეთვლება.

მძლეოსნურ მერიდიანებზე

ტურინი, 2 ივნისი. სტუდენტი სპორტსმენების ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც ამ იტალიურ ქალაქში ყოველ წლიწადს ტარდება, პირველობდნენ საბჭოთა მძლეოსნები. ლუგანსკელმა ვ. სკომოროხოვმა 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით (49,9) დაამარცხა ევროპის ჩემპიონი, იტალიელი რ. ფრინოლი. მოსკოველი ვ. სკვორცოვი 215 სმ სიმაღლეზე გადახტა და გაიმარჯვა. ი. ტერ-ოვანესიანმა ყველა ჩამოიტოვა სიგრძეზე ხტომაში, თუმცა საკმაოდ მოკრძალებული შედეგი აჩვენა — 761 სმ. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა ვ. ბორზოვის, ვ. საპეიას, ა. ბრატჩიკოვისა და ი. სტეპანოვის შემადგენლობით — 40,4.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია პოლონელი ი. შევინსკას გამარჯვება 100 მეტრზე რბენაში (11,4) და ახალგაზრდა უნგრელი ათლეტის დ. ხოლუშის წარმატება, რომელმაც ბირთვი 18,85 მეტრზე ჰკრა და პირველობა დაისაკუთრა.

სოფია, 2 ივნისი. ტრადიციულ მძლეოსნურ ასპარეზობაში ბულგარული ახალგაზრდული გაზეთის „ნაროდნა მლადეჟის“ პრიზზე სიმაღლეზე ხტომა მოიგო მოსკოველმა ს. მარტინოვმა — 213 სმ. შეჯიბრებამ 13 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. 400 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა ე. გავრილენკომ (გომელი) — 51,9.

პროგრამის ყველაზე საინტერესო სახეობა იყო სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრება: ი. გუზენბაუერმა ავსტრიის ახალი რეკორდი დაამყარა — 184 სმ. ჯერჯერობით ეს სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. II ადგილზეა მ. ფაიტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 182 სმ.

ი. ხრისტოვამ (ბულგარეთი) ბირთვი 17,72 მეტრზე ჰკრა. მეორე იყო მოსკოველი გ. ნეკრასოვა — 17,60.

გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში საკდესის მიზეზით გაიპარა შეცდომა. რუბრიკით „უკანასკნელ საათს“ ვწერდით, რომ ოდესელმა ათჭიდელმა ნ. ავილოვმა ჰაიდელბერგში გამართულ ტრადიციულ მატჩში 7.495 ქულა მოაგროვა. ნამდვილეში მისი შედეგია 7.945.

საზოგადოებრივი შრომის ძალა

ბოლო ხანს ასპინძის რაიონში შესამჩნევად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ამ საქმეში ყველაზე აქტიური როლი კომკავშირელებმა შეასრულეს. კომკავშირის რაიონული კომიტეტის ბიურომ შარშან სპეციალური დადგენილება მიიღო მარტივი ტიპის მოედნების მოწყობაში რაიონის ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ. ამიტომაც იყო, რომ მარტო შარშან ათობით სპორტული მოედანი ჩადგა მწყობრში. განსაკუთრებით ისახელა თავი სოფელ აწყურის ახალგაზრდობამ. მან მოაწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. სოფელ იდუმალაში გაკეთდა ფრენბურთის მოედანი, თოკში — ფეხბურთის მინდორი. კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტების მუშაკებმა სოფლის თავკაცებთან ერთად შეარჩიეს და ფეხბურთის ასპარეზის მოსაწყობი ნაკვეთები გამოჰყვეს ორგორაში, ძველში, ჭობარეთში, საროში...

კომკავშირის რაიკომი ფხიზლად ადევნებს თვალს, რომ ახალ ბაზებს კარგად მოუარონ და დანიშნულებისამებრ გამოიყენონ ისინი. ასე გადარჩა გადახვნას სპორტული მოედანი ხიზაბავრაში.

მასობრიობის ნიშნით ჩატარდა კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული ლაშქრობა ჯავახეთის ზეგანზე: აბულის მთაზე 70-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის კაცი ავიდა და ღამე გაათია.

— წლეულს და გაისადაც განზრახული გვაქვს სამდღიანი მასობრივი ლაშქრობების ჩატარება. ამ ღონისძიებებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მივუძღვნით, — გვითხრა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ჯ. მარუაშვილმა.

რაიონში გულისხმიერად ეკიდებიან წვევამდელებთან მუშაობას. აქ მუდამ ორგანიზებულად ხდება ნორმატივების მასობრივად ჩაბარება კომპლექსზე „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“. წვევამდელებს სათანრიგო მოთხოვნათა შესასრულებლად სისტემატურად იწვევენ სპორტის ცალკეულ სახეობებში გამართულ რაიონულ პირველობებში.

ასპინძის რაიონში სულ 3205 ფიზკულტურელია. სპორტის სახეობებიდან აქ ძირითადად დანერგილია სპორტთამაშები, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში და ტურიზმი. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე პოპულარულია ფრენბურთი. ამ სახეობას 700-მდე ფიზკულტურელი მისდევს.

ასპინძელები ძალ-ღონეს არ იშურებენ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის. ამ საქმეს გულისყურით ეკიდება პარტიის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება. ლექტორთა ჯგუფში გაერთიანებული არიან გამოცდილი პედაგოგები და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მოწინავენი.

იწვევენ და თავადაც სტუმრობენ ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და თერჯოლის რაიონების სპორტსმენებს. ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა აქ ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზეა დაფუძნებული და ბევრი ენთუზიასტი კარგადაც მუშაობს. ჩვენ შევხვდით ერთ-ერთ მათგანს, ასპინძის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კ. გიორგაძეს. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს იგი ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდში იცავდა სასწავლებლის ღირსებას. ამჟამად გიორგაძე მასწავლებელთა ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარეა, მსაჯობს რაიონულ შეჯიბრებებს ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ამ უკანასკნელ სახეობაში იგი რაიონული ფედერაციის თავმჯდომარეცაა და რაიონის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდს ავარჯიშებს.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დასაყრდენი საშუალო და რვაწლიანი სკოლებია. საქმე ყველაზე უკეთაა დაყენებული ასპინძის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. დიასამიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი კ. ფართალაძე). სკოლას აქვს ღია კომპლექსური მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. მოსწავლეთა განკარგულებაშია კლასდარბაზი. ამ სკოლის ფეხბურთელები ზედიზედ 4 წელია ფლობენ ვ. მარღანიას სახელობის რაიონულ თასს. უმცროსი ასაკის ფეხბურთელებმა „ტყავის ბურთის“ პრიზზე თავიანთ ზონაში გამარჯვება მოიპოვეს და ქუთაისში გამართულ ნახევარფინალურ ტურნირში IV ადგილი დაიკავეს. რაიონულ და ზონალურ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიან კალათბურთელებიც. მაგიდის ჩოგბურთელებმა რაიონის სკოლებს შორის ამასწინათ გამართული პირველობა მოიგეს.

მოწინავეთა შორის უნდა დავასახელოთ სოფ. ხიზაბავრის საშუალო სკოლაც (დირექტორი ს. ხუციშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. გოგოლაძე). დირექციის ხელშეწყობით აქ საკუთარი ძალით მოაწყვეს მოედნები. აქაური მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ რაიონულ პირველობებში.

1967 წელს რაიონში პირველად გაიხსნა განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი ა. ლოლაძე). ასეთი პატარა რაიონისთვის 16 ჯგუფი ცოტა როდია, მაგრამ სპორტსკოლას დარბაზი არა აქვს. არც სოფლებშია შექმნილი ჯგუფებისთვის ნორმალური მუშაობის პირობები. აქაური ხანგრძლივი ზამთარი კი მთელი წლის მანძილზე წვრთნის საშუალებას არ იძლევა.

„კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოში (თავმჯდომარე ზ. თურქაძე), რომელიც 20 კოლექტივს აერთიანებს, მოწინავედ ძველის კოლმეურნეობა დაგვისახელეს (თავმჯდომარე ა. დიასამიძე). აქეს სოფელ ორგორის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე დ. სუარიძე) ფრენბურთელი ვაჟები და ხიზაბავრის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. ველიჯანაშვილი) ფრენბურთელი ქალები.

მაგრამ ყველა საქმე როდია. დაბა ასპინძის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტ. ნემსაძე) ფიზკულტურის კოლექტივი ერთ დროს კარგად მუშაობდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. აქაურ სპორტსმენებს შეუძლიათ რაიონის ცენტრალურ ბაზებზე ივარჯიშონ, მაგრამ თავს არავინ იწუხებს. ხერთვისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ზ. გულბათაშვილი) ფიზკულტურის კოლექტივი ფორმალურად არსებობს — არ ჩაუტარებიათ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, არც რაიონულ ტურნირებში გამოდიან. საერთო ფერხულს ჩამორჩებიან ოთის (გ. ბუცხრიკიძე) და საყუდაბელის (შ. მამულაიძე), რაიკოოპერატივის (შ. ალელიშვილი) ფიზკულტურული კოლექტივები.

სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მეთოდისტები არ ჰყავთ. დამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაშიც კი, სადაც თავმჯდომარედ ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე ა. ნახაპეტიანი მუშაობს, მეთოდისტის დანიშვნას საშველი არ დაადგა. ზოგან საერთოდ არ იყენებენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისა და ინვენტარის შესაძენად განკუთვნილ სახსრებს.

რაიონში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებთან. არაა შექმნილი თევზაობის, ნადირობისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები. არ არის არც ერთი ხეირიანი სპორტდარბაზი, დახურული ტირი. მოსაგვარებელია რაიონის სპეციალისტებით უზრუნველყოფის საკითხიც.

თ. გაჯეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ასპინძა — თბილისი.

• • •

სურათებზე: მარჯვნივ — ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ვ. აფციაური ბადროს ტყორცნის ილეთს ასწავლის მოსწავლე ჯ. იველაშვილს; ქვემოთ — კულტურის მუშაკებთან ჭადრაკში მორიგ მეცადინეობას ატარებს კულტსახლის დირექტორი ო. ცინაძე.

ფოტო ავტორისა.

სპორტული ლაგოდეხი

ორ დღეს გაგრძელდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 ფიზკულტურული კოლექტივის 55 მოჭიდავე.

გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ლელიანელი, III — აფენელი ათლეტები.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ფ. ექვთიმიშვილი, ვ. ნოზაძე, თ. ნერსესაშვილი, ფ. ტალახაძე (ყველა — ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ი. ყაჩმაზოვი (ფონა), გ. მუზალაძე, ა. დათუკიშვილი (ორივე — ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), თ. მერმანიშვილი (ლელიანი).

* * *

ჩვენთან სტუმრად იყვნენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სპორტსმენები, რომელთაც ლაგოდეხელ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრები გამართეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ჭაბუკ ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. ამავე სკოლის მოსწავლეთა გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრა კალათბურთშიც.

საინტერესო იყო ფეხბურთელთა შეჯიბრება. გამარჯვება აქაც ლაგოდეხის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდის მხარეზე იყო — 6:3.

* * *

რაიონის მოსწავლე ხელბურთელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ნინიგორის საშუალო სკოლის გოგონებმა და ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა.

ფ. კვირიკაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სპეციალისტები არ ჰყოფნით

გაიმართა საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის **ა. თედეევის** მოხსენება „ოლქში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

პლენუმზე ითქვა, რომ შარშან ოლქის ფიზკულტურულ კოლექტივებში მომზადდა 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 90 პირველთანრიგოსანი, 5 ათასზე მეტი II და III თანრიგების სპორტსმენი, 3 ათასზე მეტი ნიშნოსანი. მიუხედავად ამისა, ოლქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საერთო მდგომარეობა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენაა. შარშან, მაგალითად, ვერ შესრულდა სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმა, სუსტად ვითარდება მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა... ზოგიერთ სახეობაში სპორტსმენთა რიცხვი თანდათან მცირდება. მაგალითად, ველოსპორტში მოვარჯიშე ახალგაზრდების რიცხვი 13 კაცით შემცირდა, ძალოსნობაში — 25 კაცით. ტყვიის სროლაში — 36 კაცით, მოთხილამურეებისა — 30 კაცით.

ყოველივე ეს პირველ ყოვლისა აიხსნება ფიზკულტურული კოლექტივებისა და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით. ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოსა და დაწესებულებაში ჩამკვდარია ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება, ხოლო ზოგან (გრომი, ბიყარი, ედისი, როკა) სულ არ არის შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივი. ზნაურის რაიონის თიღვის, ცხინვალის რაიონის აჩაბეთის, ქემერტის, ლენინგორის რაიონის ბალაანისა და ჯავის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობები არ ითვალისწინებენ ახალგაზრდების სამართლიან მოთხოვნებს სპორტმოედნების მოწყობისა და ინვენტარის შეძენის თაობაზე. ბევრგან მარტივი ტიპის საჭიდაო სარბიელიც კი არა აქვთ.

ჭიანურდება სპორტული კომპლექსის მშენებლობა ცხინვალში. ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ივალდებულეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბაზების მშენებლობაში, მაგრამ მათ ხელს არ უწყობენ სამშენებლო ორგანიზაციები.

პლენუმზე გააკრიტიკეს „სპარტაკისა“ და „დინამოს“, სპორტსკოლისა და ქალაქის ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც ყველა შესაძლებლობას სათანადოდ ვერ იყენებენ.

ხაზი გაესვა იმასაც, რომ ოლქში დაბალია სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარების დონე.

ჯავისა და ლენინგორის რაიონის სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ დგას, ვინაიდან ფიზაღზრდის მასწავლებლებად არასპეციალისტები მუშაობენ. ლენინგორის რაიონის 17 სკოლაში მხოლოდ ერთი სპეციალისტია უმაღლესი განათლებით. ლარგვისის საშუალო სკოლაში ფიზაღზრდას ისტორიკოსი ასწავლის, ზაყორში კი ფილოლოგი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. კულუმბეგოვი**, ერედვის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი **რ. ბორცვაძე**, ჯავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **შ. თედეევი**, დოსააფის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ბასაევი**, ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **რ. ხიქტურაშვილი**, საქართველოს ალკკ ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი **ა. გაბარაევი**, „სპარტაკის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ი. ბესთაევი**, საქართველოს ალკკ ლენინგორის რაიკომის მეორე მდივანი **ს. გაბიევი**, „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ა. გალეგაშვილი**, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ფ. სანაკოევი**.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ჰ. თედეევმა**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჯუსოევმა**.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

საკუთარი ძალით

ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა რაიონის ფიზკულტურის კოლექტივებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ.

აღინიშნა, რომ რაიონის სპორტულმა ორგანიზაციებმა ერთგვარად გააუმჯობესეს ფიზკულტურის კოლექტივებში მარტივი ტიპის სპორტმოედნების მოწყობის საქმე. კარგი მოედნები აქვთ ცაიშის, დარჩელის, ახალსოფლის, ნარაზენის საშუალო სკოლების, კიროვის რვაწლიანი სკოლის, აგრეთვე, ზუგდიდის, ახალსოფლისა და ინგირის სკოლა-ინტერნატების, დარჩელისა და ორსანტიის კოლმეურნეობების, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, ზუგდიდის 1-ლი, მე-2 და ცაიშის ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურის კოლექტივებს. იწყობა კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, შენდება სტადიონი ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

აღინიშნა ისიც, რომ ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების უმეტესობას არ გააჩნია კეთილმოწყობილი მოედნები, რის შედეგადაც რაიონის მშრომელი მოსახლეობისა და ახალგაზრდობის ნაწილი მოკლებულია ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარულად მეცადინეობის საშუალებას.

რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

გვიან იქნება თითზე კბენანი...

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩების ისტორიაში საქართველოს ათლეტებმა დღემდე ორჯერ წააგეს. პირველობა, მაგრამ ასე სასტიკად და ისიც შინ, საკუთარ მოედანზე, არასოდეს დამარცხებულან. თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ ტურნირში მასპინძლებს მოლდავეთის სპორტსმენებმა 15 ქულით აჯობეს. საქართველოს მძლეოსნებმა საბოლოოდ 419 ქულა მოაგროვეს და II ადგილით დაკმაყოფილდნენ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აზერბაიჯანისა (362 ქულა) და სომხეთის (246) გუნდები.

ეს წარუმატებლობა მით უფრო თვალსაჩინოა, რომ ჩვენმა ათლეტებმა ორი სეზონის წინ, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მძლეოსნობის ბევრ სახეობაში აალაპარაკეს სპეციალისტები: ისე იასპარეზეს, როგორც არასდროს.

რა მოხდა, რატომ თმობენ პოზიციებს ჩვენი მძლეოსნები?

საქართველოს ნაკრების ძველმა წევრებმა სწორედ სპარტაკიადისთვის მიაღწიეს თავიანთ საუკეთესო მაჩვენებლებს. შარშან მხოლოდ გ. გუდაშვილმა და ვ. სანეევმა ისახელეს თავი (პირველმა თბილისში, ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდით, მეორემ კი მეხიკოს ოლიმპიადაში, სადაც სამხტომში მსოფლიო რეკორდი დაამყარა). ეს იყო და ეს. რეზერვი კი არ ჩანდა (საიმედო არც ახლა ჩანს რამე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამიოდე ათლეტს, რომელთაც უკვე შეუძლიათ ნაკრებში ვეტერანთა ადგილის დაკავება). სწორედ ამ ნაკლმა იჩინა თავი წაგებულ მატჩში — დიდი მოწადინების მიუხედავად, ვეტერანებმა ბოლომდე ვერ გასწიეს უღელი. ავადმყოფობის გამო მატჩში ვერ გამოვიდა ჩვენი ორი ოლიმპიელი — ვ. სანეევი და ლ. იევლევა. გუნდის შედეგებს ამანაც დაატყო კვალი.

რაც მთავარია, საქართველოს მძლეოსნების მარცხში გადამწყვეტი როლი შეასრულა უბაზობამ. სეზონის დასაწყისიდანვე „ლელოს" ფურცლებზე ბევრჯერ დაიწერა, რომ თბილისში (და მთელს რესპუბლიკაში) არსად იყო ხეირიანი სარბენი ბილიკები და სექტორები. ვარჯიშები ცუდად ტარდებოდა. ამიტომ ჩვენი ნაკრები მატჩისთვის ცხრა მთას იქით — ნალჩიკში ემზადებოდა. თბილისის სტადიონებზე მძლეოსნური სარბიელის მოწესრიგებისთვის არავინ იზრუნა — არც არმიელთა საოლქო სპორტკლუბის ხელმძღვანელობამ, არც სპორტკლუბების „განთიადისა" და „სინათლის", არც განათლების განყოფილების, არც სტუდქალაქის მესვეურებმა.

მხოლოდ „ლოკომოტივის" სტადიონის რეკონსტრუქცია დაიგეგმა, დროულად შეიძინეს საკმარი რაოდენობის რეზინ-ბიტუმი. რეკონსტრუქცია ფიზკულტურის კომიტეტის თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს (უფროსი ვ. კვანტალიანი) და თბილისის გზატკეცილების მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ი. მენაბდე) დაეკისრათ, მაგრამ მათ ჯერ იყო და მოსამზადებელი სამუშაოები უმოწყალოდ გააჭიანურეს, მერე კი ისე უგულისყუროდ შეასრულეს, რომ მძლეოსნური სექტორების მშენებლობის მოსკოველი სპეციალისტი ვ. კუზნეცოვი იძულებული გახდა რამდენჯერმე საქმე ხელახლა გაეკეთებინებინა.

არადა, მატჩი ახლოვდებოდა. ასპარეზობის დღისთვის ხეირიანად არაფერი არ იყო მოწყობილი: წყალსაწრეტების მშენებლობა, ბირთვის კვრის, ბადროსა და უროს ტყორცნის სექტორები შუა გზაზე მიატოვეს, ჭოკის საყრდენი ორმოს მოწყობა „დაავიწყდათ", გადასაკეთებელი გახდა სამხტომისა და სიგრძეზე ხტომის არეკნის წერტები, „მხედველობიდან გამორჩათ" სიგრძეზე, სიმაღლეზე და ჭოკით სახტომი ორმოების დამთავრება, ორივე საფეხბურთო კარს უკან წყალი დგებოდა...

ამის მნახველმა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. პერეპიოლკინმა (ლენინგრადი) უარი თქვა მატჩის გამართვაზე. იგი მხოლოდ მძლეოსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭომ და სტადიონის დირექციამ დაითანხმეს იმ პირობით, რომ შეხვედრის დღისთვის მდგომარეობა გამოსწორდებოდა. მართლაც მათ, როგორც იტყვიან, დღე და ღამე გაასწორეს და მიზანს მიაღწიეს.

სირცხვილი არ ვჭამეთ. პირიქით, სტუმრები კმაყოფილიც დარჩნენ. მატჩის პირველ დღეს მოლდავეთის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ მ. გერცენშტეინმა გვთხოვა გაზეთის საშუალებით მოლდავეთის მძლეოსანთა სახელით გუნდის კარგად მიღებისთვის, სტუმართმოყვარეობისთვის, შეჯიბრების ნორმალური პირობების შექმნისთვის მადლობა გვეთქვა მათთვის, ვინც ეს დაიმსახურა. მაგრამ საინტერესოა, რას გვეტყვიან მშენებლები: ეს პირველი შემთხვევა როდია, რომ სპორტნაგებობათა სამმართველოს საქმე ბოლომდე არ მიჰყავს!

მატჩის წაგებაში მცირე „წვლილი" როდი მიუძღვით ჩვენს მწვრთნელებს, ნაკრების ხელმძღვანელებს, ზოგიერთ მძლეოსანს. საქმე ისაა, რომ ტურნირს ყველა ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა. აბა, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ცნობილმა სპორტსმენმა და არანაკლებ ცნობილმა მწვრთნელმა ა. შჩერბინამ, რომელიც 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში მე-5 კილომეტრამდე ლიდერობდა, მსაჯების შენიშვნისადმი პროტესტის ნიშნად ტრეკს ზურგი აქცია და წინ გაუშვა ი. კუზნიროვი (მოლდავეთი), რომელმაც გაიმარჯვა კიდეც. კუზნიროვი ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ შჩერბინას ბევრი ასეთი მეტოქე დაუმარცხებია. მართალია, თბილისელმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა შეცდომა ნაწილობრივ იმით გამოისყიდა, რომ თავის აღსაზრდელს ა. დარჩინიანს ამოუდგა გვერდში და გაიყოლია, ამით გამხნევებულმა ახალგაზრდა მძლეოსანმა III ადგილი დაიკავა, მაგრამ შჩერბინას მაინც არ ეპატიება ეს საქციელი. მისგან ბევრს ველით და სამართლიანადაც.

ანდა რას ჰგავდა, რომ ბოლოს, 4×400 მეტრზე როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ესტაფეტაში—საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობას სპორტსმენები საძებნი ჰყავდა—პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ასათიანმა რბენაში მონაწილეობაზე უარი თქვაო?! ხომ შეიძლებოდა უარი კი არ ეთქვა, ავად გამხდარიყო. გუნდის ხელმძღვანელებმა ამაზე რატომ არ იფიქრეს? საერთოდ, ჩვენი მორბენლები უმეტესად უსუსურად გამოვიდნენ.

ვფიქრობთ, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია იმსჯელებს მატჩის შედეგებზე და თავის სიტყვას იტყვის, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა ცხრა მთის იქით როდია. თუ გუნდში ყველაფერი ახლავე არ მოწესრიგდა, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი...

რამდენიმე სიტყვა თვით ტურნირზე. მოლდავეთის მძლეოსნები მატჩისთვის შესანიშნავად მომზადებულან და ღირსეულადაც გაიმარჯვეს. აზერბაიჯანის ათლეტებმაც რამდენიმე კარგი შედეგი აჩვენეს. ბევრია ქების ღირსი მასპინძლებიდან. მაგალითად, ქუთაისელმა ი. კოზელსკიმ მონდომება არ დაიშურა, რომ 200 და 400 მეტრზე თარჯრბენი მოეგო, ხოლო შემდეგ ესტაფეტის (4×400 მ) ბოლო ეტაპზე თავდაუზოგავად იბრძოლა. 100 მეტრზე რბენაში გამოცდილ ვ. ბოლშოვასთან (მოლდავეთი) მკერდით წაგებისთვის ვ. ქუთათელაძემ რევანში 200 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში (4×100 მ) აიღო. ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენი გ. გუდაშვილი სარბიელზე ნატკენი ფეხით გამოვიდა — ტყორცნა არ გამოსდიოდა, ერთ ხანს აგებდა მოლდაველებთან ვ. ოპრიასთან და მ. შპაკთან, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა. მ. ოყრომშიძემ ბირთვის კვრაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა (17,82 მ) და უახლოეს მეტოქეს ვ. ბელიანსკის (სომხეთი) 2 მეტრზე მეტით აჯობა. კარგად გამოვიდა ი. დელა-როსაც. იგი წინადღით ჩამოვიდა (საკავშირო ნაკრებში ვარჯიშობდა), მეორე დილით კი თბილისის ზღვის მიდამოებში 30 კმ-ზე სპორტულ სიარულში გამართულ შეჯიბრებაში ჩაება და პირველობაც მოიგო. ჯერც ვეტერანს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს რ. ქვაჩაკიძეს დავემდურებით. მან წააგო ვ. კომლევთან, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში აზერბაიჯანის ახალი რეკორდი დაამყარა (772 სმ), მაგრამ გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავს და ბევრ ახალგაზრდას აჯობა...

ო. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — **სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ქუთაისელი ი. კოზელსკი 400 მ თარჯრბენში ასპარეზობისას;** ქვევით — **ქალთა ესტაფეტის (4×400 მ) პირველ ეტაპზე.**

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

ჰაჩზი სტრიქონები

ძალოსნური დარბაზი

„კოლმეურნის" ოჩამჩირის რაიონული საბჭოს ძალოსანთა სექცია, რომელსაც ა. ბოჯგუა ხელმძღვანელობს, კარგად მუშაობს, მაგრამ სპორტსმენებს დიდხანს უშლიდათ ხელს დარბაზის უქონლობა. ახლახან მათ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს—კეთილმოწყობილი ძალოსნური დარბაზი.

რ. ჟიდია.
(ჩვენი კორ.).

ოჩამჩირე.

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ

„ლელო" ინტერვიუ

ხარკოვში დამთავრდა ოსტატ წყალბურთელთა „ა" კლასის III ჯგუფის გუნდების პირველობა. ამ ქალაქიდან დაბრუნდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — თბილისის „ბურევესტნიკი", რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებითაა დაკომპლექტებული.

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა თბილისის „ბურევესტნიკის" უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ **ზ. ჩაჩავას** და ესაუბრა განვლილი პირველობის გარშემო.

● **ვინ მონაწილეობდა შეჯიბრებაში?**

— ხარკოვის შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადის, კიევისა და თბილისის „ბურევესტნიკის", ადგილობრივი „დინამოს", კაუნასის „ჟალგირისის", ტაშკენტის „მეხნატის", ლენინგრადის „ტრუდის", ტალინისა და კიევის არმიელთა სპორტკლუბების გუნდები.

შეჯიბრება ერთობ მძიმე იყო. მხოლოდ V ტურში გამოვლინდა გათამაშების ლიდერი — ხარკოვის „დინამო". მის შემადგენლობაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ხუთი კანდიდატია, თანაც, მათ ნაკრების პირველ ნომრად აღიარებული მოთამაშე ვ. ბარკალოვი ლიდერობს. მშობლიურ ქალაქში ხარკოველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს და მხოლოდ ბოლო შეხვედრაში თბილისელ სტუდენტებთან დაყარეს ფარ-ხმალი.

თბილისელები II ადგილზე გავიდნენ. მათ მოიპოვეს უფლება, რომ ხარკოველებთან და III ადგილზე გასულ კიეველ ფანაკლუბელებთან ერთად გაისად უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში ითამაშონ.

თბილისელ სტუდენტთა წარმატება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ მათ სულ ორიოდე თვის წინ გუნდის ორი საუკეთესო მოთამაშე — თ. უშანგიშვილი და ნ. კურტანიძე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — თბილისის „დინამოს" გადასცეს.

● **როგორ ემზადებოდა გუნდი შეჯიბრებისთვის და რა ამოცანას უსახავთ კოლექტივს?**

— მზადება არ ამოიწურება მარტო შეჯიბრებების წინ ჩატარებული ვარჯიშით. ჩვენ სეზონურად კი არ ვმუშაობთ, არამედ სისტემატურად ვმეცადინეობთ. უშუალოდ თამაშების წინ მე ქვეყნის ნაკრებთან ერთად მივლინებული ვიყავი ჰოლანდიაში და გუნდს მეორე მწვრთნელი, წარსულში თბილისის „დინამოს" კაპიტანი და გუნდის ვეტერანი, სპორტის ოსტატი ი. ჩხიკვაძე ავარჯიშებდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა არ იზღუდება, თუ შეიძლება ითქვას, კერძო ინტერესებით და საამაყო ვალდებულებად თვლის მოთამაშეების აღზრდას რესპუბლიკის ნაკრებისთვის, „დინამოს" გუნდისთვის.

როგორც მუდამ, წლეულს განვაახლებთ შემადგენლობას მოსწავლე წყალბურთელებით, კერძოდ, თბილისის განათლების განყოფილების გუნდის წევრებით, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ამზადებს მწვრთნელი ვ. ბარნაბიშვილი. ახალგაზრდებს ვამამად შევათამაშებთ უფროს კოლეგებთან, გავუკაფავთ გზას უძლიერესი კოლექტივისკენ.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გათუმელებმა კარგად ითამაშეს

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 1:2 (1:2).

„ლოკომოტივი": ბერიძე, მირიანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, ონიანი, ძაგანია, ჯორბენაძე, მაზიაშვილი, შხვაცაბაია (ბახტაძე), ხუციშვილი, მეტრეველი (მესხაძე).

„დინამო": კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, დიმანოვი, ხაბიბულინი, გიორგაძე (გაგუა), ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

მსაჯი ვ. მაჩალინი (როსტოვი).

მატჩი დაიწყო ასე: რამდენიმე საიერიშო კომბინაციის შემდეგ, მე-7 წუთზე, თბილისელები ისევ შეტევაზე იყვნენ. მაზიაშვილი გავიდა მარჯვენა ფლანგზე და მიაწოდა ცენტრში. კვახაძემ ამ მომენტში ცუდად ითამაშა, ხუციშვილთან ბრძოლაში დაკარგა ბურთი, რომელიც სრულიად მარტოდ დარჩენილ მეტრეველს მიუგორდა. გოლის გატანა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა — 1:0.

თითქოს, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. თბილისელებმა ბოლო ხანს საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და მასთან ერთად — სატურნირო მდგომარეობაც. გუნდმა III ადგილამდე მიაღწია გათამაშების ცხრილში და დაკარგული ქულებით პირველ ლიდერსაც გაუსწორდა. როდის, თუ არა ახლა, უნდა ეზრუნათ რკინიგზელებს სათავეში ჩადგომოდნენ ბრძოლას IV ქვეჯგუფში. მით უმეტეს, რომ მათი მოწინაალმდეგე ჯერჯერობით ვერაა ფორმაში და აუტსაიდერთა რიგებშია.

მაგრამ ბათუმელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს და გააქარწყლეს ყოველგვარი პროგნოზი. გაშვებულ გოლს წუთითაც არ დაურღვევია მათი რიგების მთლიანობა. პირიქით, გუნდმა წინა პოზიციაზე, ფორვარდების მახლობლად გადაიყვანა ნახევარმცველები და დაიწყო „ლოკომოტივის" კარის ხანგრძლივი შტურმი. 23-ე წუთზე ჩხარტიშვილმა შორიდან წამოიწყო რეიდი, „გაირბინა" მეტოქის რამდენიმე მცველს შორის და ზუსტი დარტყმით გაქვითა გოლი — 1:1.

დინამოელებს ამის შემდეგ სულ სამიოდე წუთი დაჭირდათ ანგარიშში დასაწინაურებლად. გიორგაძემ განახორციელა ანალოგიური გარღვევა მინდვრის ცენტრში, დრიბლინგით შევიდა საჯარიმო მოედანში და ძნელ მდგომარეობაში მოასწრო დარტყმა — 2:1.

„ლოკომოტივს" დრო საკმარისზე მეტი ჰქონდა ეხსნა წაგებული მატჩი, მაგრამ ბათუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ მატჩის ბოლომდე არ შეუწყვეტიათ აქტიური, გაბედული თამაში, არ დაუხევიათ ღრმა დაცვაში და თბილისელთა ბევრი ცდის მიუხედავად, შეინარჩუნეს დამსახურებული გამარჯვება.

რ. ქორიძე.

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გვიხმობენ ტურისტული ბილიკები

მზის მცხუნვარე სხივებმა გაათბო მიწა. მწვანე ფარჩით შეიმოსა გარემო. ასეთ დროს ძალიან ლამაზია აფხაზეთი: დათოვლილი მთები, მიუვალი კლდეები, გამოქვაბულები, ზღვა, მდინარეები... ლამაზია მწვერვალი ჩუმკუზბაც. დამხვენებლებმა მას „აფხაზეთის იალბუზი" უწოდეს.

წლეულს ამ მწვერვალზე პირველად ავიდა მთამსვლელთა ჯგუფი ვ. იობიძის ხელმძღვანელობით, რომელშიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები შედიოდნენ.

ტურისტები უკვე მასობრივად დაიძრნენ მთებისკენ და მწვერვალებზე აგიზგიზდა მეგობრობის კოცონები... შორს კავკასიონის მთავარ ქედს სწვდება მათი სიმღერები.

შარშან აფხაზეთში ბევრი რამ გაკეთდა სტუმრების უკეთ მომსახურებისა და მასობრივი ტურიზმის განვითარებისთვის. დღეისთვის შექმნილია 500-ზე მეტი ტურისტული სექცია, რომლებშიც 15.000 კაცია გაერთიანებული. აფხაზეთის ტურისტულ საბჭოს მომზადებული ჰყავს 220-ზე მეტი კვალიფიციური ინსტრუქტორი და 170 ექსკურსიამძღოლი.

წლეულს სოხუმიდან ექსკურსიები მოეწყობა ტყვარჩელში, იალტაში, სევასტოპოლში, თბილისში, ბორჯომში, ვარძიაში, ენგურჰესში, ამტყელის ტბაზე...

ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების დღეებში ტურისტულ შეკრებებზე მოეწყობა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, სამამულო ომის ვეტერანებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან და სხვ. გათვალისწინებულია, რომ ტურისტთა საბჭომ კლუბებსა და სექციებში მოამზადოს ინსტრუქტორთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ახალი კადრები — 300 კაცი.

სოხუმის ტურისტთა კლუბი და სპორტსაზოგადოება „სპარტაკი" ამჟამად არჩევენ ახალგაზრდულ ჯგუფს, რომელმაც ტიანშანის მთები უნდა დალაშქრონ.

დიდი გამოცდილება აქვთ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტურიზმის სექციაში გაერთიანებულ მსახიობებს, რომლებიც უკვე მზად არიან კავკასიონის მთების დასაპყრობად. ამ დღეებში ისინი ავიდნენ მწვერვალ ჩუმკუზბაზე და მონადირის ქოხში მოაწყვეს ლენინის კუთხე, ხოლო მწვერვალზე ალისფერი დროშაააფრიალეს.

ნ. მიქაშავიძე.

სოხუმი.

• • •

სურათზე: ჩუმკუზბაზე ლაშქრობის მომენტი.

ფოტო გ. ბენიძისა.

„თაგუნებიდან" „ირმებში" ანუ ალსინდორის სახეცვლილებანი

რომ არ გაგონებთ ეს სათაური რომელიმე ჯადოსნურ ზღაპარს? სინამდვილეში ლაპარაკი გვექნება ერთ რეალურ ამბავზე, თუმცა ზოგიერთებს მართლაც სურთ იგი ზღაპრად წარმოგვიდგინონ. ძნელი დასაჯერებელია: საკმარისი იყო ჭაბუკს ერთი მოეწერა ხელი კონტრაქტზე და მილიონი დოლარი მისცეს. მერე ვის? ზანგს! აბა, რით არ არის სასწაული?

მაშ ასე, რეალური ამბავი. ამ ამბავზე მთელი ამერიკული პრესა წერდა. სახელგანთქმული მოყვარული კალათბურთელი ლიუ ალსინდორი პროფესიონალ კალათბურთელად იქცა. „შავმა გოლიათმა მევიოლინის ხელებით" დატოვა ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც სახუმარო სახელი „თაგუნები" ერქვა და გადავიდა კლუბში, რომელსაც „მილოუკის ირმები" ჰქვია.

ამ ამბავს ელოდნენ, მაგრამ შემთხვევითი როდი იყო, რომ მაინც სენსაციად მიიღეს. საქმე ისაა, რომ ალსინდორი მართლაც იშვიათი ნიჭიერების კალათბურთელია. 23 წლის გოლიათი (სიმაღლე 217 სმ) მხოლოდ განსაკუთრებულად ჰარმონიული და პროპორციული აღნაგობით როდი გამოირჩევა. უაღრესად სრულყოფილ ტექნიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მას აქვს ბრწყინვალე „ხტომის უნარი" და სისწრაფე.

ბოლო წლებში ალსინდორი ამერიკული კალათბურთის № 1 ვარსკვლავად ითვლება. აშშ-ს სპორტული პრესა, რომელიც საერთოდ საკმაოდ გულუხვია აღფრთოვანებულ ეპითეტებზე, ერთსულოვნად უწოდებდა მას „ყველა დროის უდიდეს მოთამაშეს".

აი, მაგალითად, სტრიქონები იმ ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის ანგარიშიდან, სადაც ალსინდორი მოყვარულად თამაშობდა. „ლოს-ანჟელესის კალიფორნიულმა უნივერსიტეტმა თავისი ვარსკვლავის ლიუ ალსინდორის დახმარებით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა აშშ-ს საუნივერსიტეტო პირველობაში. „თაგუნები" კვლავ ჩემპიონები გახდნენ — ზედიზედ მესამედ და მეოთხედ — ბოლო ხუთ წელიწადში. „დიდმა ლიუმ" 37 ქულა მოუტანა თავის გუნდს, რომელმაც მისი დახმარებით ბეჭებზე დააწვინა პერდიუს უნივერსიტეტის კალათბურთელები — 92:72. ალსინდორმა პანიკა გაამეფა მეტოქის რიგებში და ჩრდილში მოაქცია თავისი მეურვე რიკ მაუნტი, ამ ჩემპიონატის მეორე სნაიპერი... „დიდმა ლიუმ" ეფექტურად დაასრულა თავისი სამოყვარულო კარიერა".

როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, სტუდენტურ გუნდში მწვრთნელ ჯ. ვუდენის ხელმძღვანელობით თამაშის სამი წლის მანძილზე ალსინდორმა 88 მატჩი ჩაატარა და აქედან მხოლოდ ორი წააგეს. ამ პერიოდში მან „თაგუნებს" მოუტანა 3500-მდე ქულა, საშუალოდ 38-40 ერთ შეხვედრაში. ეს ძალიან მაღალი შედეგიანობაა, განსაკუთრებით, მაღალი კლასის გუნდების მატჩებისთვის.

გასაგებია, რომ ასეთ მოთამაშეზე ნამდვილი ნადირობა გაჩაღეს. მაგრამ ალსინდორს თავისი გეგმები არ გაუმხელია ბოლო მომენტამდე, რაც ძალიან აშფოთებდა პროფესიონალთა გუნდების მენეჯერ-მეპატრონეებსა და რეპორტიორებს, რომლებიც ბოლო გამოცდების დაწყებამდე მთელი თვით ადრე ყოველ ნაბიჯზე სდარაჯობდნენ მათ. სენსაციურმა წინასწარმეტყველებამ და ინტრიგებმა საზღვარს მიაღწია იმ მომენტში, როცა „დიდმა ლიუმ" გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება „მილუოკის" გუნდში გადასვლის თაობაზე.

მაგრამ ამბავი ამით არ დამთავრებულა. გამოჩნდა ცნობები, რომ საქმეს გააპროტესტებდნენ. ვინ გააპროტესტებდა? აქ საჭიროა რამდენიმე განმარტება. „მილუოკის ირმები" წარმომადგენლები არიან პროფესიონალთა გუნდების იმ ექსკლუზივისა, რომელიც ეროვნული კალათბურთის ასოციაციაში (ნბა) შედის. მაგრამ ამ „კალათბურთის ტრესტს" ჰყავს მეტოქე — ამერიკის კალათბურთის ლიგა (აბლ). ლიგის ხელმძღვანელებმა პროტესტი განაცხადეს იმ საბაბით, რომ ნბა, რომელსაც საკმაო კაპიტალი აქვს, სისტემატურად ყიდულობს ცოტად თუ ბევრად პერსპექტიულ მოყვარულ მოთამაშეებს. ამით ზემოხსენებული ასოციაცია თავისებური საკალათბურთო მონოპოლისტი ხდება და... არღვევს აშშ-ს „ანტისატრესტო კანონმდებლობას". არის ლაპარაკი, რომ ეს საქმე შეიძლება აშშ-ს უმაღლეს სასამართლომდეც კი მივიდეს.

რა გადაწყდება სასამართლოში, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ერთი საქმე უკვე გაკეთდა — რეკლამა. რეკლამა კი, როგორც ცნობილია, ბიზნესის მამოძრავებელია. მაგრამ, გამოდგება თუ არა ეს სიტყვა სპორტში? უეჭველად.

ამერიკულ სპორტში დიდი კალათბურთი დიდ ბიზნესს ნიშნავს. ამერიკულ საკალათბურთო ცნობარებში, რომლებიც ყოველწლიურად გამოდის, სტუდენტთა და პროფესიონალთა გუნდების მაყურებელთა რიცხვი მილიონებითაა გამოხატული. საკმარისია გადავამრავლოთ ეს მილიონები ბილეთების ფასზე — დოლარებზე — და მიხვდებით, რომ მართლაც საკმაოდ მოზრდილი თანხა გამოდის. ამას დაუმატეთ ასი ათასობითა და მილიონობით დოლარი, რაც „კალათბურთის ტრესტებსა" და ცალკეულ კლუბებს ეძლევათ მატჩების ტელევიზიით ტრანსლაციის უფლებისთვის.

საქმე არც ამით მთავრდება. დიდი კალათბურთის ირგვლივ გაჩაღებულია კიდევ ერთი აზარტული თამაში — „გემბლინგი". ასე ეძახიან ამერიკელები კანონით დაშვებულ და „იატაკქვეშა" ტოტალიზატორებს, რაც კალათბურთის სარბიელზეც ისევე პოპულარულია, როგორც დოლის, მოკრივეთა შეხვედრებისა თუ ავტორბოლების დროს. შემთხვევითი როდია, რომ ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ მჟღავნდება საიდუმლო: სხვადასხვა გუნდის მოთამაშენი მოსყიდული არიან იმ მიზნით, რომ მოულოდნელად „წააგონ" შეხვედრა და ამით განგსტერებს ტოტალიზატორში ზღაპრული მოგების საშუალება მისცენ.

ერთი სიტყვით, თუ „მილუოკის" მეპატრონეებმა გადაწყვიტეს ერთ მოთამაშეში მილიონი მისცენ, ისინი არც მოტყუვდებიან. ბიზნესმენები, როგორც ცნობილია, ფულს ქარს არ ატანენ.

თვითონ ალსინდერი? ბევრი შეხვდება მას იმ დიდძალი ფულიდან, რომლის შესახებაც ასეთი ალტაცებით წერენ ამერიკული გაზეთები? არც იმდენი, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ოცდაათი პროცენტი უნდა გადაირიცხოს „ძია სემის" სასარგებლოდ, ესე იგი, სახელმწიფო გადასახადო უწყების სახელზე. რაც შეეხება დანარჩენ თანხას, აქ საჭიროა გავიხსენოთ ამერიკული სპორტის მეორე სახელგანთქმული „შავი ვარსკვლავის" — მოკრივე ჯო ლუისის ბედი. პროფესიონალთა მსოფლიო პირველობის მატჩებისთვის მას ასი ათასი დოლარი ეძლეოდა. მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ ლუისს გამუდმებით ემუქრებოდა გაკოტრება და ვალები. როგორც გამოირკვა, მისი ჰონორარის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა გადასახადებს, მატჩების ორგანიზატორებთან ანგარიშის გასწორებას, მწვრთნელების, სპარინგ-პარტნიორების, მასაჟისტების ხელფასს, საწვრთნელი ბანაკების ქირას და ა. შ.

სხვათა შორის, ამის შესახებ სარეკლამო საქმეთა ოსტატები დუმილს არჩევენ. მათი მიზანია მაყურებელს უჩვენონ ეფექტური სანახაობა, ოქროს წვიმა. ვის ჯიბეში მოხვდება ფული საბოლოოდ, ეს მხოლოდ მან იცის, ვინც დიდი საკალათბურთო ბიზნესის კულისებში ტრიალებს.

მ. ზასლავსკი.

სურათზე: ლ. ალსინდორი ათავსებს ბურთს მეტოქის კალათში.

გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „კაირატი". შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და „პახტაკორი". მატჩის ანგარიშია 3:2 მასპინძელთა სასარგებლოდ. ქუთაისელთაგან გოლები გაიტანეს ხერხაძემ (2) და ვეკუამ.

მოსკოვის „დინამომ" სვერდლოვსკში მოუგო „ურალმაშს" — 1:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. კიროვის პარკის მოედნები. **4-8 ივნისი. თბილისის პირველობა I ჯგუფის გუნდებს შორის.** დასაწყისი 16 ს., კვირას — 11 ს. „განთიადის" მოედნები. **4-5 ივნისი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით.** დასაწყისი 10 ს.

ჩოგბურთი. „დინამოს" კორტები. **4-8 ივნისი. თბილისის ჩემპიონატი.** დასაწყისი 16 ს.

რეგბი. სტუდქალაქის სტადიონი. **4-7 ივნისი. „გაზაფხულის თასის" გათამაშება თბილისის გუნდებს შორის,** დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. „განთიადის" საჭადრაკო კლუბი. **4 ივნისი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით.** დასაწყისი 15 ს.

შაში. „განთიადის" საჭადრაკო კლუბი. **4 ივნისი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით.** დასაწყისი 11 ს.

ფეხბურთი. სპორტკლუბ „განთიადის" სტადიონი. **4 ივნისი. „განთიადის" ცენტრალური სპარტაკიადის პროგრამით,** დასაწყისი 16 და 18 ს.

თბილისის სპორტის სასახლე

ფიგურული ციგურაობა
7-8 ივნისი
საქართველოს პირადი პირველობა
დასაწყისი 19 ს. 30 წ.